

რა უნდა ვიხლოდეთ სეზონური გრიპის შესახებ?!

ზამთრის სეზონზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური განხილვის თემა გრიპია. ის წლიდან-წლამდე, რატომღაც, სულ უფრო მეტ შიშსა და პანიკას იწვევს ჩვენს მოსახლეობაში და ხშირად სწავლების პროცესის ჩაშლის მიზეზიც კი ხდება, რადგან მშობლები შეგნებულად არიან თავს მოზარდების სასწავლებელში გაშვებას. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ გრიპს უძველესი ისტორია აქვს და ამ დაავადების შემთხვევები ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ აღწერა 412 წელს ჩ.წ.აღ.-მდე. მაშინ რა არის ასეთი პანიკის მიზეზი? იქნებ დაავადების შესახებ მოსახლეობის ნაკლებად ინფორმაციულობა? ამიტომ გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ რას წარმოადგენს ვირუსული გრიპი, როგორ დაიცვათ თავი მისგან და დასწავლავთ შემთხვევაში რა ზომებს მიმართოთ.



გრიპის პანდემიები განპირობებულია A ვირუსის ანტიგენური სტრუქტურის სრული შეცვლით და ადგილი აქვს 10-40 წელიწადში ერთხელ. A ვირუსის ანტიგენური სტრუქტურის ნაწილობრივი შეცვლისას ეპიდემიები ყოველ 2-3 წელიწადში აღინიშნება. B ტიპის ვირუსის დროს ეპიდემიები აღინიშნება 4-7 წელიწადში ერთხელ. C ვირუსის ეპიდემიური როლი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

A გრიპის დროს ინკუბაციური პერიოდი 1-2 დღე, ზოგჯერ კი რამდენიმე საათია; B ვირუსის დროს კი 3-4 დღე. A და B ვირუსით გამოწვეული გრიპი პრინციპში ერგვარად მიმდინარეობს. კლინიკური მიმდინარეობის თავისებურება ძირითადად ასაკით განისაზღვრება. მოზარდებსა და მოზრდილებში დაავადება კლასიკური ფორმით მიმდინარეობს, ხოლო მცირე ასაკის ბავშვებში კლინიკა საკმაოდ ვარიირებს. დაავადება იწყება მწვავედ, უეცრად, ტემპერატურის მომატებით 39-40 C, შემცივნებით, სისუსტით, თავბრუსხვევით, თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილით, ხახის შიპერებით. ერთდროულად ვითარდება ცრემლდენა, სინათლის შიში, წვისა და ტკივილის შეგრძნება თვალის კაკლის მოძრაობისას. ბავშვებში ვლინდება ლებინება, დიარეა, უმადობა, ირღვევა ძილი. გართულების შემთხვევაში ადგილი აქვს ჰალუციაციებს, კრუნჩხვებს, ცნობიერების დაბინდვას. დაავადებულთა 20-30%-ში მოვლენები სასუნთქი სისტემის მხრივ პირველივე დღეებში არ არის გამოხატული.

ინფექციის წყაროს გრიპით დაავადებული ადამიანი წარმოადგენს. კლინიკური გამოვლინებები წაშლილი, მსუბუქი ფორმიდან ელვისებური მიმდინარეობის ჩათვლით ვარიირებს. ვირუსის გადაცემა ჯანმრთელ ადამიანზე ჰაერ-წყვეთიანი გზით ხდება. ყველაზე დიდი რაოდენობით ვირუსი ბრონქულ სეკრეტში იმყოფება. ინფექციის გადაცემის საშიშროება ინკუბაციური პერიოდის დამთავრებიდან იწყება და ცხელების მთელ პერიოდში გრძელდება. ვირუსი პერსისტირებს ორგანიზმში 40-45 დღის განმავლობაში, როდესაც ავადმყოფს აღენიშნება გართულება პნევმონიის სახით, მაგრამ ქრონიკული მტარებლობა გამოირიცხება.



გვესაუბრება პედიატრი-ნეონატოლოგი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კოლსუნტანტი, ბავშთა დაავადებათა ინტეგრირებული მართვის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორი ქეთევან შარანია.



დაავადების სახელწოდება დაკავშირებულია ფრანგულ სიტყვასთან — "gripper" და "თავდასხმას" ნიშნავს. დადგენილია სეზონური გრიპის ვირუსის სამი ტიპი — A, B, C, რომელიც ერთმანეთისაგან ანტიგენის თვისებებით განსხვავდება. ანტიგენური ცვალებადობა განსაკუთრებით A ვირუსს ახასიათებს, რომლის მრავალი ქვეტიპიდან ამჟამად A(H1N1) და A(H3N2) ცირკულირებს. B ვირუსი ნაკლები ანტიგენური ცვალებადობით ხასიათდება. C ვირუსი კი ეპიდემიებსა და პანდემიებს არ იწვევს და სპორადული შემთხვევების მიზეზია.



გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადვილად ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე. იგი მთელ მსოფლიოში ცირკულირებს და ყოველწლიურად სეზონურ ეპიდემიებს იწვევს. გრიპით მსოფლიოში ყოველწლიურად 3-5 მილიონი ადამიანი ავადდება და 250 000 — 500 000 -იღუპება. დაავადების პიკი, ზომიერი კლიმატის ქვეყნებში, ისეთებში როგორცაა საქართველო, ზამთრის პერიოდზე მოდის. გრიპით დაავადება თითქმის საყოველთაო ყველა ასაკისათვის, თუმცა პირველი თვეების ჩვილებში იშვიათია, რაც დედისაგან მიღებული იმუნიტეტით აიხსნება.



რა უნდა ვიზოღოთ სავრონრი გრიპის უსსახუბ?!



დაავადების პროფილაქტიკის ყველაზე ეფექტური გზა ვაქცინაციაა.

უკვე 60 წელია, რაც წარმატებით გამოიყენება უსაფრთხო ვაქცინები. ვაქცინაცია იცავს დაავადებისაგან ჯანმრთელი მოსახლეობის 70-90%-ს, ხოლო მოხუცებსა და ასაკოვან ადამიანებში 60%-ით ამცირებს გართულებების და 80%-ით სიკვდილიანობის რიცხვს. ვაქცინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, ვინც რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია რეკომენდაციას უწევს გრიპის სანიანაღმადგომ ყოველწლიურ ვაქცინაციას, განსაკუთრებით შემდეგ ჯგუფებში:

• მოხუცებულთა თავპისასვარში მყოფი პირები,



• 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვები,



• ქრონიკული დაავადებების მქონე პირები,

მე-2-3 დღეს კატარალური მოვლენები უკვე თავს იჩენს: ხველა, სურდო, ყელის ტკივილი სიმშრალით ან ფხაჭნის შეგრძნებით, სუნთქვის გაძნელება. გაურთულებელი გრიპის დროს ტემპერატურა 2-3 დღე, იშვიათად 5 დღე წარჩუნდება. მისი მეტი ხნით გაგრძელება უკვე დაავადების გართულებას უკავშირდება. მიმდინარეობის მიხედვით არჩევენ მსუბუქ, საშუალო და მძიმე ფორმებს. მცირეწლოვან ბავშვებში გრიპი ატიპურად მიმდინარეობს, განსაკუთრებით მძიმეა 2-3 წლის ასაკის ბავშვებში. გრიპი იშვიათად კლინიკის გარეშე შეიძლება მიმდინარეობდეს. ამ შემთხვევაში მისი არსებობა მხოლოდ ლაბორატორიული კვლევით დგინდება.

ეპიდემიების დროს გრიპის დიაგნოსტიკა ვირუსოლოგიური კვლევით 72 საათში შეიძლება, შემდგომში - სეროლოგიური კვლევით. სპორადული შემთხვევების დროს კი დიაგნოსტიკა უფრო გაძნელებულია.



საავადმყოფოში სამკურნალოდ საშუალო სიმძიმის და მძიმე ავადმყოფები თავსდება. სხვა შემთხვევაში პაციენტი ბინაზე იმყოფება და სიმპტომური მკურნალობა უტარდება, კერძოდ: სითხით დატვირთვა, სიცხის დამწევი სშუალებების მიღება. ანტიბიოტიკების მიღება გართულებების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებული არ არის. ანტივირუსული პრეპარატებიდან საჭიროა იმ პრეპარატების გამოყენება, რომელიც ბლოკავს ვირუსის უჯრედში შეჭრას და მის გამრავლებას.



• მოხუცებულთა,



• ჯანდაცვის მუშაკები,



• ორსულები.



დაცვა, ხელების ხშირად დაბანა, ბევრი სითხის მიღება, ხალხმრავალი ადგილებისათვის თავის არიდება ან პირბადის გამოყენება, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცის ხშირი განიავება და სხვა. და თუ მიუხედავად მიღებული უსაფრთხოების ნორმებისა მაინც შეგეყრებათ ე.წ. ვირუსი, გრიპი თუ უბრალო გაციება, ნუ დააყოვნებთ, მიმართედ

ექიმს. ნუ დაგავინყდებთ ექიმის მოვალეობა ჩვენი დახმარება და მკურნალობის სწორი გზის მოძიება.

შეგახსენებთ რომ კომპანია **GMS** შემოაქვს ამერიკული ფირმა **Johnson&Johnson**-ის მიერ წარმოებული სადებიზინფექციო საპონი **Lanosoap Des** რომელსაც გააჩნია ანტიმიკრობული აქტივობა ყველა სახის ბაქტერიის მიმართ (ტუბერკულოზის მიკობაქტერიის ჩათვლით). ეს საპონი შეგიძლიათ გამოიყენოთ ყოველდღიური ჰიგიენისათვის სახლში, ოფისში, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში, განსაკუთრებით ბალებსა და სკოლებში.

გრიპის ვირუსები ხშირად იცვლიან ანტიგენურ ბუნებას, ამიტომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მუდმივად აწარმოებს მეთვალყურეობას და მონიტორინგს ადამიანებს შორის მოციროკულირე ვირუსებზე. აქედან გამომდინარე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ყოველწლიურად გვთავაზობს ახალი შემადგენლობის ვაქცინებს, რომელიც მიმართულია მოციროკულირე ვირუსების სამი ძირითადი შტამის სანიანაღმდეგოდ.



გრიპის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია პირადი ჰიგიენის




კომპანია ETHICON-ის ქირურგიული ზრდილობის დასახური პროდუქტია

ნებისმიერი ტიპის ქირურგიული ჩარევის დროს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ქსოვილების შეერთებას და ჭრილობების დახურვას. კომპანია **Johnson & Johnson** სათანადოდ აფასებს ქსოვილების შეერთების მნიშვნელობას და მოუძიებდა ქმნის სულ უფრო სრულყოფილ მასალებს ქსოვილთა შეერთების გასაუმჯობესებლად, რათა გაზარდოს ოპერაციული ჩარევის ეფექტურობა და შეამციროს მასთან დაკავშირებული პოსტოპერაციული გართულებები.



ოპერაციული ტექნიკისა და ქსოვილების ტიპებიდან გამომდინარე, ქსოვილების შეერთების რამდენიმე მეთოდს განასხვავებენ: ქსოვილების ლიგირება, გაკერვა, შენება, კლიპირება და სტეპლირება. ფოტო პრეზენტაციის 4 სლაიდი-კლიპსები კომპანია **Johnson & Johnson**, "**ETHICON**" სახელწოდებით, ყველა ამ მეთოდისათვის გამოსაყენებელი პროდუქციის ფართო სპექტრს აწარმოებს, რომელიც მის წინაშე არსებულ მოთხოვნებს მაქსიმალურად აკმაყოფილებს. ქსოვილების შეერთების მრავალფეროვანი მეთოდების მიუხედავად, დღეს ყველაზე ხშირად ლიგირება და გაკერვა გამოიყენება. ქირურგიულ ტექნიკასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საკერავ მასალაში გამოყენებული ძაფისა და ნემსის შემადგენლობას, მათ ავებულებას, ერთმანეთთან ბმას და სხვა მრავალ მახასიათებელს.



საკერავი მასალის შერჩევას ქირურგი, როგორც წესი, ითვალისწინებს ქსოვილის ტიპს და ოპერაციულ ტექნიკას, ქსოვილების შეერთებისათვის აუცილებელი შეერთების პერიოდს (მუდმივი ან დროებითი აპროქსიმაცია), ქსოვილების დაზიანების ხარისხს, ქსოვილებზე არსებული დაზიანების ძალას, ქსოვილების შეერთებისას მისაღებ ეფექტს (შეერთების სიმტკიცე, კოსმეტიკური ეფექტი და ა.შ.), შესაძლო პოსტოპერაციულ გართულებებს და სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქირურგიული საკერავი ძაფი იმპლანტატს წარმოადგენს და ის, სხვადასხვა დონით, ქსოვილოვან რეპეციას იწვევს, რაც ხშირად პოსტოპერაციული გართულებების მიზეზია, ასევე ზრდის პოსტოპერაციული ინფექციების განვითარების რისკს, იწვევს ქსოვილების მექანიკურ დაზიანებას, რაც ნაწილობრივ წარმოქმნის ახდენს გავლენას. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ძაფის ბუნებრივი უფრო მეტად აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

თანამედროვე მედიცინაში ხარისხიანი საკერავი მასალა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: მინიმალური ქსოვილოვანი რეაქცია, ქსოვილების მინიმალური ტრავმატიზაცია, ძაფისა და ნემსის სიმტკიცე, პოსტოპერაციული ინფექციის რისკის შემცირება, ძაფისა და ნემსის ერთმანეთთან მიახლოებული დიამეტრი, სიმტკიცის შენარჩუნების და განვითარების უზუსტი ვადები, მაღალი სამანიპულაციო თვისებები, კვანძის დადების სიმარტივე, სტერილობის ხარისხი.

კომპანია "ეთიკონი", თავისი 100 წლიანი გამოცდილების საფუძველზე, დღეს ისეთი მაღალი ხარისხის მრავალფეროვან საკერავ მასალებს აწარმოებს, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. ის მსოფლიო ლიდერია და ბაზრის 70% უჭირავს.

საკერავი მასალა მზადდება როგორც ბუნებრივი, ასევე სინთეტიკური ნედლეულისაგან, განვითარდა ან გაუმჯობესდა თვისებებით, როგორც მონოფილამენტური (ერთგვაროვანი), ასევე მულტიფილამენტური (დანული, არაერთგვაროვანი) სტრუქტურით.



ყველა სახის ცნობილია, რომ ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული ძაფები უფრო მეტად გამოხატულ ქსოვილოვან რეაქციას იწვევს, ვიდრე სინთეტიკური ძაფები. განსაკუთრებით საყურადღებოა ცხვრის ნაწილისგან ნაწარმოები განვითარდა ძაფი კეტგუტი. მისი თვისებები ბევრად არის დამოკიდებული ცხოველის გენეტიკაზე, რის გამოც ერთ კომპანიაში წარმოებულ კეტგუტსაც კი შეიძლება განსხვავებული თვისებები ჰქონდეს და ის ქსოვილოვან რეაქციებში, განვითარდა ვადებში, ქსოვილის ტრავმატიზაციაში გამოიხატოს, რაც ხშირად პოსტოპერაციული გართულებების მიზეზია. ამიტომ კეტგუტის გამოყენება თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში კანონით აკრძალულია. სწორედ ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული ქირურგიული საკერავი ძაფების უარყოფითი თვისებების გამო, თანამედროვე მედიცინაში უკვე ძირითადად სინთეტიკური საკერავი მასალა გამოიყენება, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძაფის გარდა, საკერავ მასალაში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნემსს და მის მახასიათებლებს. ქირურგიული ნემსი უნდა გამოიჩინოს მდგრადობით და ელასტიურობით (არ უნდა ილუნებოდეს ქირურგიული მანიპულაციის დროს), ატრავმულობით, ქსოვილში მრავალჯერადად გატარების უნარით.

ნემსი შედგება სამი ნაწილისაგან: ყუნწი, სხეული და ნეერი. ყუნწი ეს ის ადგილია, სადაც ნემსი და ძაფი ერთმანეთს უერთდება და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ბმის სიმტკიცეს და ასევე ძაფისა და ნემსის ერთმანეთთან მაქსიმალურად მიახლოებულ დიამეტრს, რაც განაპირობებს მის ატრავმულობას. ნემსის სხეული არის ყველაზე გრძელი ნაწილი და მის გეომეტრიას მნიშვნელობა აქვს ატრავმულობისა და ნემს-დაამჭერში მისი მყარი ფიქსაციისათვის. ნეერი არის ნემსის აქტიური ნაწილი. რაც უზრუნველყოფს მის ქსოვილებში გასვლას და ატრავმულობას.



კომპანია **Johnson & Johnson**-ის ნემსები ინარჩუნებენ უნიკალური **ETHALLOY**-ს მეტალისაგან და ზედაპირულად დამუშავებულია სილიკონით. ყოველივე ეს **Johnson & Johnson**-ის ნემსებს მაღალ სიმტკიცეს და ატრავმულობას აძლევს. **Johnson & Johnson** აქაც გამოიჩინა მრავალფეროვნებით და აწარმოებს მრავალი (მჩხვლეტავი) და მჭრელი ნემსების დიდ ასორტიმენტს, რომელთა შორის სხვაობა მხოლოდ ნემსის ნეერის კონფიგურაციაშია გამოხატული, ანუ ეს არის მრავალსხეულიანი ნემსები, ხოლო მათი ნეერი სხვადასხვა ფორმისაა და სხვადასხვა ტიპის ქსოვილების გასაკერად გამოიყენება. მაგალითად CC მრგვალი ნემსი, სპეციალური კონფიგურაციის ნეერით, ათეროსკლეროზული სისხლძარღვების გასაკერად გამოიყენება, მრგვალი ბლაგვნეერიანი ნემსი - პარენტომული ორგანოების გასაკერად, მრგვალი მჭრელნეერიანი ნემსი - მკვრივი ქსოვილების გასაკერად და სხვა. ასეთივე მრავალფეროვნებით გამოიჩინა მჭრელი ჯგუფის ნემსებიც — ჩვეულებრივი მჭრელი და უკუმჭრელი ნემსები, ნემსი პრაიმი, რომელიც კოსმეტიკური ნაკერების დასადებად გამოიყენება და სხვა.

ესლა წარმოედგინა **Johnson & Johnson**-ის მიერ, "**ETHICON**"-ის სახელით წარმოებულ საკერავ მასალას:



ეთილონი (პოლიამიდი) - ნეილონის მონოძაფი - მონოფილამენტური განვითარდა გასაკერავი მასალაა. ახასიათებს მინიმალური ტრავმატიზაცია, ინფექციის დიფუზიის რისკის არარსებობა, მინიმალური ქსოვილოვანი რეაქცია. ძირითადად გამოიყენება პლასტიკურ ქირურგიაში და ოფთალმოლოგიაში.

Prolene - იზობუტატიური პოლიპროპილენის მონოფილამენტური ძაფია. აქვს უკიდურესად გლუვი ზედაპირი, განმეორებითი დატვირთვის მიმართ მდგრადობა (პულსაცია), მინიმალური ქსოვილოვანი რეაქცია. გამოიყენება კარდიოქირურგიაში, სისხლძარღვთა ქირურგიაში, პლასტიკურ და მიკროქირურგიაში.

ეთიბონდ ექსელი - მულტიფილამენტური, განვითარდა გასაკერავი მასალაა, სტრუქტურით განსაკუთრებით ეფექტურად მტკიცე ძაფია დღეს არსებულ საკერავ მასალათა შორის (დანული დაკრონი/პოლიესთერი 12-16 ბოჭკოსაგან). ძირითადად გულის სარქველებზე ოპერაციების დროს გამოიყენება. თვისებები: სარქველების მჭიდრო ფიქსაცია, პერივალვულარული სისხლდენის არარსებობა, ჩინებული სამანიპულაციო თვისებები.

მონოკრილი (პოლიგლუტამინი 25) მონოფილამენტური განვითარდა ძაფია. მაღალი პლასტიკურობით, მინიმალური ტრავმატიზაცია, ინფექციის დიფუზიის არარსებობა და მინიმალური ქსოვილოვანი რეაქციით ხასიათდება. ჭრილობის კიდების შეერთება - 14 დღემდე, განვითარდა.

ჰიდროლიზის გზით 90-120 დღე. გამოიყენება, ბავშვთა და პლასტიკურ ქირურგიაში, უროლოგიაში. ის არ უწყობს ხელს მასზე კონკრემენტების წარმოქმნას და ამ თვისებების გამო მონიკრილი აქტიურად გამოიყენება სანალულ და შარდსანვეთი გზების ქირურგიაში.



PDS II (პოლიდიოქსანონი) - ასევე განვითარდა მონოფილამენტური გასაკერავი მასალაა. გამოიჩინა ქსოვილებში თავისუფალი გასვლით, მინიმალური ტრავმატიზაციით, ინფექციის დიფუზიის რისკის შემცირებით, ინფიცირებულ ქსოვილებში გამოყენების შესაძლებლობით. ჭრილობის კიდების შეერთება ხდება 6 კვირამდე, ხოლო განვითარდა 180-210 დღეში. გამოიყენება ყველგან სადაც საჭიროა ქსოვილების ხანგრძლივი აპროქსიმაცია, მათ შორის ბავშვთა სისხლძარღვთა და კარდიოქირურგიაში.

ვიკრილი საფარით (პოლიგლუტამინი 910) - მულტიფილამენტური, დანული, განვითარდა ქირურგიული საკერავი მასალაა. საფარი შედგება პოლიგლუტამინი 370 და კალციუმის სტეარატისაგან. ახასიათებს უნიკალური ფიზიკური და ქიმიური თვისებები: ქიმიური კავშირი ძაფსა და საფარს შორის, მათი ერთდროული განვითარდა 64 დღეში. უნიკალური სამედიცინო თვისებები: თავისუფალი გასვლა ქსოვილში, კვანძების მსუბუქი და საიმედო დადება, განვითარდა უზუსტი ვადები, მინიმალური ქსოვილოვანი რეაქცია, შეფუთვის მრავალფეროვნება, მარალხარისხიანი ნემსები.


ვიკრილ პლუსი - ჩვეულებრივი ვიკრილის თვისებებთან ერთად ახასიათებს ანტიბაქტერიული მოქმედება, რომელიც განპირობებულია მის საფარველში შემავალი ანტიბაქტერიული ნივთიერების არსებობით. ეს კი 3-4 ჯერ ამცირებს პოსტოპერაციული ინფექციების განვითარების რისკს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ვიკრილ რაბიდი - მულტიფილამენტური სწრაფად განვითარდა ძაფია. ჭრილობის კიდების აპროქსიმაციის ვადა 6-10 დღე, ქსოვილოვანი რეაქცია - მინიმალური. ინარჩუნებს ვიკრილის ყველა სამანიპულაციო თვისებებს. დეალური მასალაა სწრაფად შეხორცებადი ქსოვილებისათვის (ეპიზიორაფია, სახე, ბავშვთა ქირურგია, კონიუნქტივალური ნაკერები, ჩუჩის მოკვეთა, უროლოგია).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დღესათვის ქირურგთა არსენალში **Johnson & Johnson** მიერ წარმოებული მაღალი ხარისხის მასალისაგან დამზადებული საკერავი მასალის დიდი ნაირსახეობაა, რაც ნებისმიერი ტიპის ქირურგიული ჩარევის დროს ამცირებს პოსტოპერაციული გართულებების რისკს და ერთიორად ზრდის ოპერაციის ეფექტურობას.



DIAGON®



უნგრული კომპანია „დიაგონი“ GMS-ის ახალი პარტნიორია



მზა გამოყენების რეაქტივს – Recombinant PT ტესტი-რეაქტივი. მისი ღია სისტემების რეაქტივები ბიოლოგიური ანალიზატორებისთვის ნებისმიერი ფირმის აპარატს მიესადაგება, ხოლო მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევებისათვის განკუთვნილ რეაქტივებს (PCR ანალიზისათვის) კი მსოფლიოს არაერთი ლაბორატორია და კვლევითი ცენტრი იყენებს.

კომპანია Diagon სერთიფიცირებულია ISO 9001 და ISO 13485 სტანდარტით. ფლობს სანარმოებს უნგრეთში, ბრაზილიაში, ინდონეზიაში, ჩინეთსა და საუდის არაბეთში, რომელიც ევროპის, სამხრეთ ამერიკის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ბაზრებს აკმაყოფილებს.

Diagon სისტემატურად ანახლებს თავის პროდუქციას. 2010 წელს მან ახალი 2-არხიანი, პორტატული კოაგლომეტრი Coag 4D გამოუშვა „თაჩ-სკრინით“, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე მისი წინამორბედი. აპარატი ძალიან კომპაქტურია, ლაბორატორიაში მცირე ადგილს იკავებს, გადასატანად მოსახერხებელია და ერთდროულად 4 პაციენტის კოაგოლოგრამას აკეთებს.

კომპანია GMS, Diagon-ით დიუსელდორფის ყოველწლიურ გამოფენა „Medi-Ca“-ზე დაინტერესდა და თანამშრომლობა შესთავაზა. დღეს კომპანიის პროდუქციას უკვე იყენებს თბილისის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი (18 პარამეტრიანი ჰემატოლოგიური ანალიზატორი და კოაგოლომეტრი), ავადმყოფთა მომსახურე სასულიეროპირთა ორდენის „კამელიელები“ პოლიკლინიკა და ქუთაისის „აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი“, სადაც

კომპანია GMS ახალი წლიდან Diagon Ltd.-ს პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში.


1989 წელს დაარსებული უნგრული კომპანია Diagon დღეს უკვე ცნობილია მსოფლიო ბაზარზე თავისი მაღალხარისხიანი, პრაქტიკულად ყველა ტიპისა და დატვირთვის ჰემატოლოგიური ანალიზატორების, კოაგოლომეტრებისა და მათთვის საჭირო რეაქტივების წარმოებით. Diagon-ის რეაქტივები განკუთვნილია, როგორც საკუთრივ კომპანიის, ასევე სხვა ფირმების ჰემატოლოგიური ანალიზატორებისა და კოაგოლომეტრებისათვის. ის ღირსეულ კონკურენციას უწევს La Roche-სა და Ebot-ს, რომელთა პროდუქციაც გაცილებით ძვირადღირებულია.

კომპანიის სათავო ოფისს ბუდაპეშტში საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. აქ იქ-



მნება აპარატურისა და შესაფუთი მასალის დიზაინი, მიმდინარეობს რეაქტივების წარმოება ავტომატური ხაზით, შიდა დამოუკიდებელი ლაბორატორიები სისტემატურად ამოწმებს პროდუქციის ხარისხსა და აპარატის გამართულობას.

Diagon ერთდერთი კომპანიაა მსოფლიოში, რომელიც უშვებს მთლიან სპექტრს 5-D დიფერენცირებადი ჰემატოლოგიური ანალიზისათვის (D-Cell 5D) და



27-პარამეტრიანი ანალიზატორი დაინსტალირდა, რომელიც საკმაოდ დიდ დატვირთვაზე გათვალისწინებული. უკვე დაგეგმილია 27-პარამეტრიანი კიდევ სამი აპარატის D-Cell 5D-სა და 6 პატარა 18-პარამეტრიანი ჰემატოლოგიური ანალიზატორის D-Cell 60-ის დაინსტალირება. Diagon-ის ანალიზატორები იდეალურია მცირე და საშუალო ზომის კლინიკებისათვის.

დღესდღეობით საქართველოში ჰემატოლოგიური ანალიზები და კოაგოლოგრამა მხოლოდ დიდი კლინიკების ლაბორატორიებში კეთდება ავტომატურ ანალიზატორზე. მცირე ლაბორატორიები ჯერჯერობით კვლავ მანუალურ მეთოდს იყენებს. თუმცა Diagon-ის სტაბილური, უმაღლესი ხარისხის რეაქტივებით ამ პრობლემის გადაჭრაც შეიძლება: ისინი მანუალური მეთოდით ჩატარებული კვლევის შემთხვევაში კი ზუსტ მაჩვენებლებს გვაძლევს.